



ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის სრული რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. 6 მარტს სამუშაოებს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერ, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუზარ ჰაპიაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მასშტაბური პროექტის ფარგლებში 16 ჰა. ფართობზე შენდება ახალი რეკრეაციული ზონა, ეწყობა საფეხმავლო და ველო ბილიკები, სპორტული და საბავშვო, გასართობი ინფრასტრუქტურა.

პარკში გაკეთდება ტბა. განახლებული სარეკრეაციო ზონა მიზიდულობის ცენტრი გახდება სხვადასხვა ასაკის ადამიანისთვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ჩამოსული ვიზიტორებისთვის.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მერი): „თავისი მასშტაბებით ეს პარკი უდიდესი და უპრეცედენტოა არა მხოლოდ დედოფლისწყაროსთვის. ალბათ, მთელი რეგიონის მასშტაბით ერთერთი დიდი რეკრეაციული ზონა შეიქმნება. მრავალფუნქციური დასასვენებელი ადგილი იქნება და ამ პარკის ექსპლუატაციაში შესვლა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განვითარებას, მისი ტურისტული პოტენციალის გამოვლენას დამატებით ბიძგს მისცემს. ხორნაბუჯის ციხესა და არწივის ხეობასთან ერთად ცენტრალური პარკი იქნება ტურისტული მიზიდულობის კიდევ ერთი ახალი ნერტილი“.

„სასიამოვნოა, რომ პარკი კეთილმოეწყობა და დიდი გასართობი სივრცე იქნება. ბევრს გაუხარდა ისიც, რომ აქ არსებული ხელოვნური ტბის აღდგენაც გადამწყდა და ახალ პროექტში შეიტანეს ტბა თავისი ხიდიტ. ეს დამატებით ხიბლს შეჰმატებს ამ ადგილს და მოუთმენლად ველოდებით ადგილობრივები მისი რეაბილიტაციის დასრულებას და საზეიმო გახსნას“ - აცხადებენ დედოფლისწყაროელები.

პროექტი „განახლებული რეგიონების“, ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 14 000 000 ლარზე მეტს შეადგენს.



ხანძრის განზრახ ბაჩენისთვის დედოფლისწყაროში მამაკაცი დაჯარიმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ჯგუფის თანამშრომლებმა, დედოფლისწყაროს რაიონში, ტყის მიმდებარედ, პატრულირების დროს, დააფიქსირეს ხანძრის კერა.

ტერიტორიის დათვალიერებისას სახანძრო-სამაშველო ჯგუფის წევრებმა შენიშნეს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მიზანმიმართულად ახდენდა ცეცხლის წაკიდებას.

ადგილზე გამოძახებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის,

ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები. აღნიშნული პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად - 500 ლარით დაჯარიმდა.

მოუწოდებთ მოსახლეობას, გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ კანონს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

პირუსების გავრცელების მარცხენა

გრიპის რომელი ვირუსები ცირკულირებს ამ სეზონზე დედოფლისწყაროში და ზოგადად, რა ვითარებაა კოვიდის გავრცელების კუთხით, ამ საკითხებზე დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მარიკა გონაშვილი საუბრობს:

მარიკა გონაშვილი: „გრიპის სანიწალმდეგო ვაქცინა განაწილდა, ასაცილებელი მასალა ყველა სოფლის ამბულატორიას დაურიგდა. ადრე მხოლოდ გარკვეული კატეგორიებისთვის იყო დაშვებული აცრა, მხოლოდ რისკ ჯგუფების აცრა ხორციელდებოდა. ახლა კი სახელმწიფოს მიდგომა შეცვლილია და ყველა მსურველს შეუძლია აიცრას, უარის თქმა არ შეეძლება. ამ მხრივ გასულ წლებში უფრო იყო მოსახლეობის მხრიდან აქტიურობა, ვიდრე ბოლო ხანს. მაგრამ, რადგან ყველა კატეგორიის აცრა შესაძლებელი, ამჯერად საკმაო აქტიურობა დაფიქსირდა.“

გრიპის შემთხვევებიც გვაქვს და საკმაოდ სერიოზულად მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტულად რომელი ტიპის გრიპებია, ამაზე დაკვირვება არ ხდება. თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ უმე-

ტესად, ძირითად შემთხვევებში, საქმე გვაქვს H1N1 ე.წ. ღორის გრიპთან. საკმაოდ საყურადღებოა ეს ვირუსი, მაღალი სიცხებით მიმდინარეობს, 7-8 დღე გრძელდება. რომ გითხრათ, ადამიანის ორგანიზმში რაიმე გართულებებს დატოვებს, არა, მაგრამ თვითონ პროცესი მწვავედ მიმდინარეობს.

რაც შეეხება კოვიდ ვითარებას, ცნობილია, რომ თითქმის აღარ არის ეს ვირუსი. იშვიათად ფიქსირდება რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ მხოლოდ მსუბუქ ფორმებში. კოვიდინფექცია მიმდინარეობს ისე, როგორც ჩვეულებრივი რუტინული ინფექციური დაავადებები, ჩვეულებრივი გრიპების მსგავსად. სხვათაშორის, ამ შემთხვევაში ჩვენთვის ღორის გრიპი უფრო საყურადღებო იყო, ვიდრე კოვიდი. ჩვენ ისევ ვახორციელებთ უფასო ტესტირებას, ვისაც აქვს სურვილი, რომ კოვიდ ტესტი ჩაიტაროს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში კვლავაც მიმდინარეობს ეს პროცესი, აღრიცხვასაც ვახდენთ და მონაცემები პროგრამაში შეგვყავს. ამ მხრივ ვითარება სტაბილურია.“

ილია მარტყოფილი

საფრთხის შემცველი ტექნიკა დალუქეს

„სოკარ ჯორჯია გაზის“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ჯგუფმა ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლებში აბონენტების მონიტორინგის კიდევ ერთი ეტაპი დაასრულეს. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ოჯახებში გამათბობლების, გაზქურებისა და წყლის გამაცხელებლების გამართულობა შემოწმდა. იმ სოფლებში, სადაც გაზის სულ ახლახან შეიყვანეს და შესაბამისად, ტექნიკაც ახალი დამონტაჟებულია, ხარვეზები ნაკლებად დაფიქსირდა. თუმცა, დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, გამოვლინდა ათეულობით ოჯახი, სადაც მოქალაქეები სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ ტექნიკას კვლავაც მოიხმარდნენ. ბოლო მონაცემებით, დალუქული და მოხსნილია 60-მდე ასეთი მოწყობილობა, რომლებზეც უსაფრთხოების სპეციალისტებმა შესაბამისი ოქმები შეადგინეს და ნორმების დარღვევა აღკვეთეს.

თამარ მოვილაშვილი: „რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს პროცესი, შევამოწმეთ თითოეული აბონენტი, რომელიც ბუნებრივი აირის სხვადასხვა ტექნიკას მოიხმარს. თებერვალში დასრულდა ერთი ეტაპი და ამ ეტაპზე ჩვენი სპეციალისტების მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 60-მდე საფრთხის შემცველი მოწყობილობა იქნა გამოვლენილი, რომელთა მოქმედება სიცოცხლისთვის სახიფათოა. მეპატრონეების თანდასწრებით თითოეულ შემთხვევაზე შეადგინეს ოქმი, დაილუქა, ჩაგჭირით და ტექნიკა ამოვიღეთ. პროცესი ამით არ დასრულებულა, შემომხმების ახალი ეტაპი დაიწყო და შემომხმები მომავალშიც გაგრძელდება.“

ილია მარტყოფილი

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბრკელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად სოფელ არხილოსკალოში ქვეთარაძის ქუჩის საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში ეწყობა ორი ფენა ასფალტ-ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები და ეზოებთან მისასვლელი გზები.

ინფრასტრუქტურული სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 1 242 220 ლარია.



„არაკეთილსინდისიერია, როცა საზოგადოებას ასე ნარუდგენთ, თითქოს კონსპირაციული შეხვედრა იყო საჯარო ადგილას, სადაც იკრებიან დეპუტატები, ჟურნალისტები და აქ მოსული სტუმრები“, - ასე ეხმიანება პარლამენტის ვიცე-სპიკერისა და ბიზნესმენ დავით ხიდაშელის შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

პაპუაშვილის განცხადებით, საუბრის შინაარსთან დაკავშირებით განმარტებები ვოლსკიმ გააკეთა და თავად ვერაფერს დაამატებს.

„სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ პარლამენტის გვერდით მდებარე კაფეში, სადაც მეც ვარ, თქვენც ხართ ხოლმე და იქაც ხვდებით ერთმანეთს, რომ რაღაც ფარული შეხვედრა და უკვე არაკეთილსინდისიერია, როცა საზოგადოებას ასე ნარუდგენთ, თითქოს რაღაც კონსპირაციული შეხვედრა იყო საჯარო ადგილზე, იმ ადგილას, სადაც იკრებიან დეპუტატები, ჟურნალისტები, აქ მოსული სტუმრები. ერთი კაფე არსებობს ჩვენს

გვერდზე და იქ იკრებიან ყველა. შინაარს რაც შეეხება, ამაზე ბატონმა გია ვოლსკიმ განმარტებები გააკეთა, მე ვერაფერს დავამატებ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

ინფორმაციისთვის, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ხიდაშელმა მას დაურეკა და უთხრა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით საინტერესო იდეები აქვს. მისივე თქმით, „ხიდაშელს არანაირად არც ანტიდასავლური, არც პრორუსული და არც მითუმეტეს ანტიქართული იდეა არ მოუშუქავებია.“ ვოლსკიმ ასევე უპასუხა კითხვას, დავით ხიდაშელთან ისაუბრა თუ არა კონფედერაციაზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. „რაც შეეხება კონფედერაციას, ეს სიტყვა საკმაოდ ხმამაღლა ახსენა, ისე, რომ გვერდით მსხდომმა ადამიანებმა მოიხედეს კიდევ, რომ კარგი იქნება, აფხაზეთთან შეიქმნას კონფედერაცია. საზოგადოების დიდი ნაწილი იცის, რომ კონფედერაცია შეიძლება მაგრამ ასეთ ვითარებაში ამაზე საუბარი არ არის“, - განაცხადა ვოლსკიმ.

„პითომ პრეზიდენტის ვეტოს დაჰკლავთ“

„რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ვეტოს დაეძღვება. სინამდვილეში, ვითომ პრეზიდენტის, რომელიც ჩაბმულია ამ მდაბიო ბრძოლაში“, - ამის შესახებ უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მდინარაძის თქმით, მამუკა ხაზარაძეს უნდოდა, რომ ცესკო მისი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრს ანუ საბოლოო ჯამში, „ნაციონალურ მოძრაობას“ ემართა, თუმცა ეს სქემა ჩავარდა.

„ხაზარაძის სქემა ჩავარდა. მას უნდოდა, რომ თავის პოლიტსაბჭოს წევრს ემართა, ანუ საბოლოო ჯამში „ნაცებს“ ემართათ ცენტრალური საარჩევნო კომისია. მას დაგროვებული ჰქონდა „კომპრომატები“, რომელიც ტყუილი იყო სინამდვილეში. ცესკოს თავმჯდომარემ ამ დაგროვებული ენ კომპრომატებით წინასწარ ისარგებლა და ყველას კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა. ანუ გაიშიფრა სქემა: უნდოდათ, რომ ის დაეზღუდებინათ, გახმოვანდა კიდევ ამის შესახებ ინფორმაცია და ამ დაბუღინების შედეგად, როცა ის გადადგებოდა, შემდეგ ხაზარაძის პოლიტსაბჭოს წევრს უნდა ემართა ცესკო, ანუ ხალხის არჩევანის გარეშე უნდა ემართათ ქვეყანა.“

მისმა ტელევიზიამ, ბევრ ტყუილს შორის ისიც კი იკადრა, რომ გარდაცვლილი მამის ბიოგრაფია გაუყალბეს, რომ მისთვის დაებრალბებინათ შევარდნაძის დროინდელი კორუმპირებული წინონიკობა. გაყალბების თარიღიდან დაწყებული, ბიოგრაფია გაუყალბეს. სხვა დეტალებს აზრი აღარ აქვს. ამ სქემას დასრულება არ უნერია.

რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ვეტოს დაეძღვება. სინამდვილეში, ვითომ პრეზიდენტის, რომელიც ჩაბმულია ამ მდაბიო ბრძოლაში. თეორიულადაც კი შეუძლებელია, რომ მათ გამარჯვება მოიპოვონ. ერთადერთი გზა აქვთ, ლეგიტიმაციის პრობლემებზე ილაპარაკონ და არჩევნების ლეგიტიმაცია კითხვის ქვეშ დააყენონ. ყველაზე კარგი დარტყმის ობიექტია ცესკო და მისი თავმჯდომარე. იმასაც კი კადრულობენ, რომ მის გარდაცვლილ მამას ბიოგრაფია გაუყალბეს. მათი ბრძოლა იქნება არა არჩევნების მოსაგებად, არამედ ცესკო-ს და არჩევნების ლეგიტიმაციის წინააღმდეგ. მათ ამ სიბნელეს ქართული ხალხი არ გააბანინებს“, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

2024 წლის თებერვლის განმავლობაში ხა-ტყის უკანონო

მოპოვებისა და ტრანსპორტირების 74 ფაქტი გამოვლინდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 74 ფაქტი გამოვლინეს.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული სამართალდარღვევებიდან, 29 ფაქტი კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ გამოვლინდა, 3 - მცხეთა-მთიანეთის, 8 - ქვემო ქართლის, 5 - შიდა ქართლის, 8 - სამცხე-ჯავახეთის, 9 - გურუის, 2 - რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, 5 - იმერეთის, ხოლო 5 კანონდარღვევის ფაქტი სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ არის გამოვლენილი.

„სამართალდამრღვევების მიმართ

შედგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია, ავტოსატრანსპორტო საშუალებები დალუქულია და გადაყვანილია სააგენტოს „საქმიან ეზოებში“. საქმის მასალები, შემდგომში რეაგირებისთვის, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა. მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში, სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების მიერ, ჯამში, ამოღებულია სხვადასხვა სახეობის 110.424 მ3 ხე-ტყე, რომელიც სააგენტოს „საქმიან ეზოებში“ არის განთავსებული. 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ქვეყნის მასშტაბით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 98 ფაქტი გამოვლინდა. ამოღებული და „საქმიან ეზოებში“ დასაწყობებული ხე-ტყის რესურსის მოცულობა 167.234 მ3 შეადგენს“, - ნათქვამია გვერცეულ ინფორმაციაში.

«გოგო დიდი მიზნებით, პატარა სოფლიდან»

გასულ კვირას, რედაქციაში მზე გოგომ შემოანათა. საუბარი დაწყებული არ გვქონდა, რომ უკვე საოცარ სიჭკვიანეს, დახვეწილ მანერებს და ქცევებს ავლენდა. მასთან ინტერვიუ სულ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ერთი სასიხარულო ინფორმაციის გამო დავეგემე, რადგან საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია, ჩვენი წარმატებული ბავშვები ფართო საზოგადოებაშიც გაიცნოს. დღეს რუბრიკა „თაობის“ წარმომადგენელი თაკო ბენაშვილია. თაკო ამერიკული FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული გახდა. ის ერთ წელს სწორედ აშშ-ში გაატარებს. ეს უპრეცედენტო მოვლენა არამარტო ზემო მარხაანის საჯარო სკოლის, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რადგან ის პროგრამაში ჩართული ერთადერთი მოსწავლეა დედოფლისწყაროდან. როგორც თავად ამბობს, ის არის „გოგო დიდი მიზნებით, პატარა სოფლიდან“, რომელმაც ძალიან დიდი და დაუღალავი შრომით მიაღწია ამ წარმატებას. თუ ვინ არის თაკო ბენაშვილი, როდის და რატომ დაინტერესდა ამ პროგრამით, რა გზა გაიარა, რა სირთულეებთან გამკლავება მოუწია მას ამ პერიოდის განმავლობაში, რა მოლოდინებთან და პერსპექტივებთან არის დაკავშირებული მისი სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:



-თაკო, მოგიყევი შენს შესახებ. ვინ არის თაკო ბენაშვილი? რას აკეთებს თავისუფალ დროს, რა ჰობი და გატაცებები აქვს?

მე ვარ თაკო ბენაშვილი, 15 წლის, ვსწავლობ ზემო მარხაანის საჯარო სკოლაში. ჩემი სოფლები ხშირად მიხოდებენ „გოგოს დიდი მიზნებით, პატარა სოფლიდან“. ვარ ძალიან მიზანდასახული, ბავშვობიდან ყოველთვის ვცდილობ ძალიან ბევრ რამეში ვიყო ჩართული და საუთარი თავი ბევრი მიმართულებით გამოვცადო. პატარაობიდან ძალიან ბევრს ვშრომობ და ვცდილობ, ჩემი ადგილი ვიპოვო სამყაროში. თავისუფალ დროს ხშირად ვატარებ ჩემს თავზე მუშაობაში, ვცდილობ, ჩემი თავის საუკეთესო ვერსია გავხდე. ალბათ, მომავალშიც გავაგრძელებ ამ პროცესს. ჩემს სოფელში ვარ საკმაოდ აქტიური, მაქვს საკუთარი კლუბი, საქველმოქმედო ინიციატივა „გაავრცელე სითბო“. ეს კლუბი მთლიანად საქართველოს მასშტაბით არსებობს, დამფუძნებელი კი ნანუკა მესტირიშვილია. მე მთლიანად კახეთის რეგიონის მოხალისე ლიდერი, ასევე ამ საქველმოქმედო ინიციატივის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვარ. 10 წლიდან მოხალისე ვარ, შესაბამისად, ჩემს ცხოვრებას, ძირითადად, მოხალისეობას ვუკავშირებ. ვფიქრობ, რომ ჩემს ყველა წარმატებაში ამას ძალიან დიდი როლი აქვს, იმიტომ რომ ის ბევრი რამის მიღწევაში მეხმარება. გარემოში არსებულ პრობლემებთან ყოველთვის ჩემი დამოკიდებულება მქონდა და ვცდილობდი, ჩემი წვლილი შემეტანა მათ აღმოფხვრაში. ადრე თუ ერთი კონკრეტული მიმართულებით ვიყავი დაინტერესებული, ახლა სამოქმედო არეალს სოციალური მიმართულებაც დაემატა. ადრე ჩემს მეგობრებს ავიყოლები და მთელს სოფელს ვასუფთავებდი ხოლმე. წინა წელს დავეწერე პროექტი „სუფთა გარემო ჩვენი ჯანმრთელობა“, რომელმაც გაიმარჯვა, ახალ-

გაზრდილი იდეის დაფინანსება მოიპოვა და ჩემს სოფელში გადაამუშავების კულტურა დავეწერე, რომელსაც დღემდე აქტიურად ვაგრძელებთ.

-რატომ დაინტერესდი FLEX-ის პროგრამით? რა მნიშვნელობა აქვს ამ პროგრამას შენთვის?

ამ პროგრამის მიმართ ინტერესი ბავშვობიდან დიდი მქონდა. FLEX-ის პროგრამის შესახებ დაახლოებით მეექვსე კლასში გავიგე, თუმცა, მონაწილეობა მხოლოდ მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ. გაცვლით-მა პროგრამებმა და პროექტებმა ძალიან გამიტაცა. შემდეგ უკვე როდესაც მოახლოვდა ჩემთვის ამ პროგრამაში რეგისტრაციის შესაბამისი დრო, უშუალოდ გადავედი იმ საკითხის შესწავლაზე, თუ რას ეხებოდა ეს პროგრამა, რა იყო მთავარი, რაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას და რა უნდა გამეთვალისწინებინა ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის. თავიდან სანამ განაცხადს შევავსებდი, დავინყე საკუთარ თავზე აქტიური მუშაობა. ამ პროგრამაში მნიშვნელოვანია ისეთი თვისებები, როგორცაა მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებლობა. ვფიქრობ, ეს უნარები დამეხმარა გამარჯვებაში. მიმაჩნია, რომ ეს პროგრამა ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდი შანსია, დიდი შესაძლებლობაა, რადგან ჩემს მიერ ჩამოთვლილ უნარებს, კიდევ უფრო განავითარებს და იმ კომფორტის ზონას დააღწევინებს თავს, რომელიც საქართველოში მოშობლებთან ცხოვრების დროს ექმნება.

-რაზეა დამოკიდებული ამ პროგრამაში მოხვედრა? როგორ ფიქრობ, რატომ შეგარჩიეს შენ?

სკოლის ნიშნებზე მეტად აქ ჩვენი პიროვნული თვისებებია გადაწყვეტი. ვფიქრობ, „ფლექსიში“ მოსახვედრად საჭიროა: კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებლობა, კომუნიკაბელურობა, ლიდერული თვისებები. სკოლა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ზემოთ აღნიშნული თვისებები მეტწილად გამომუშავდება არაფორმალურ განათლებაში ჩართვისას. შესვენებები, მუშაობა, ტრენინგები, ვორკშოპები ძალიან მნიშვნელოვანია განვითარებისთვის. ვფიქრობ, ძალიან დამეხმარა მოხალისეობრივი საქმიანობაც. განათლება და ცოდნის დონე, რომელიც FLEX-ში გამარჯვების შანსს მოგვცემს, არის 50% წილი სკოლიდან და 50% არაფორმალური განათლებიდან. სკოლა არ არის გადაწყვეტი. ამიტომ, თუ ბიოლოგიაში, ქიმიაში ან თუნდაც მათემატიკაში გაქვს 6-7 ქულა, ეს არ ნიშნავს, რომ „ფლექსი“ ვერ გაიმარჯვებ, იმიტომ, რომ „ფლექსი“ არის პროგრამა, რომელიც ხედავს მოსწავლის ზოგად უნარებს და აფასებს მას ადეკვატურად. ალბათ, ამარჩიეს კომუნიკაბელურობის, დამოუკიდებლობის და იმ უნარის ქონის გამო, რომ შემიძლია სიახლეებთან მარტივად ადაპტირება, რადგან როტული 1 წლით უცხო გარემოში, სახლდან შორს იცხოვრო და შეეგუო ახალ ოჯახს, სკოლას, კულტურას, მეგობრებს და ა.შ. „ფლექსისთვის“ სპეციალურად მომზადება შეუძლებელია, რადგან არავინ იცის ტესტზე ან ესეებზე რა სახის დავალებები იქნება მოცემული. იცვლება გასაუბრების ფორმატაც. „ფლექსი“ არ არის ენის კონკურსი და არ არის აუცილებელი ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა. მთავარია, შეგეძლოს საკომუნიკაციო დონეზე ინგლისური, რომ დაწერო მარტივი ესეები და ლოგიკური წინადადებები ააგო. უშუალოდ გასაუბრების პროცესშიც არ აქცევენ იმას ყურადღებას, თუ რამდენად კარგად იცის ბავშვმა ენა ან რამდენად სწრაფად, სწორად და გამართულად მეტყველებს.

-რა სირთულეებთან იყო და არის დაკავშირებული ამ პროგრამაში მოხვედრა? როგორც ცნობილია, რამდენიმე ეტაპია გასავლელი...

ვფიქრობ, ჩემს მიერ განვლილი გზა ნამდვილად არ ყოფილა მარტივი. ამისთვის ძალიან ბევრი შრომა მომიწია და მიზანდასახულობით, შრომისმოყვარეობით ეს ყველაფერი გადავლახე. პროგრამა შედგება სამი ეტაპისგან. პირველ ეტაპზე სამი ესე უნდა დანერო, რომელიც ჩვენს ცხოვრებასა და გამოცდილებას

ეხება. ამის შემდეგ ავტომატურად გადაიხარ მეორე ტურში. მეორე ტური არის მცირე ტესტი, რომელიც ამომწებს შენს საბაზისო ცოდნას ინგლისურ ენაში. ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის არ არის ინგლისურის ენის მაღალი დონე საჭირო, რადგან ამერიკაში წასვლის შემდეგ მნიშვნელოვანია გქონდეს ინგლისურის ის დონე, რომ შეძლო შენს მეგობრებთან კომუნიკაცია, სკოლაში თავის დამკვიდრება. დაახლოებით ა2 და ა1 დონე. მეორე ეტაპის შემდეგ, მომიწია ძალიან დიდწინაინი ლოდინი, რომ გამეგო ვიყავი ნახევარფინანსისტი თუ არა. არ იქნება მართალი, თუ გეტყვით, რომ არ ველოდი. ის შრომა რომელიც ჩავდე ვფიქრობ, დამიფასდა. მესამე ეტაპი შედარებით კომპლექსური იყო, ადგილზე უნდა მივსულიყავით. დავწერე სამი ესე 45 წუთში, რაც ნამდვილად არ იყო მარტივი, ეს ესეებიც, რა თქმა უნდა, ჩვენს თავზე იყო. მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ამ პროგრამაში მონაწილეობის დროს იყო გულწრფელი და სწორად შეძლო შენი თვისებების დანახება. გვქონდა ასევე გასაუბრება და ჯგუფური სამუშაო. გასაუბრება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან უშუალოდ ესაუბრები ამ პროგრამის წარმომადგენლებს, რომელიც ერთი ამერიკელია და ერთიც ქართველი. მათთვის საკუთარი თავი უნდა წარგედგინა. ჩემთვის ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გულწრფელობა და ის, რომ სწორად დამენახებინა ჩემი შესაძლებლობები, ხედვები. რა თქმა უნდა, ისინი შენს ამ უნარებს არ დაგიკარგავენ. ესეების წერა, გასაუბრებები, ტესტირებები - რა თქმა უნდა, ეს სირთულეებთან არის დაკავშირებული. ადამიანს გინეჭს განაწილიზო და შენს თავში იპოვო ძალა, თუ რატომ გინდა ამერიკაში წასვლა, ის თუ რა არის შენი მთავარი მიზანი. ამ პროგრამაში ბოლომდე უნდა გაისარჯო, დაიხარჯო, ბოლომდე დაანახო მათ შენ რა შეგიძლია, რაც ბევრ მოსწავლეს უჭირს - თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური ჩვენება. ვფიქრობ, ეს მე ნამდვილად მოვახერხე. დასაფასებელია, რომ ამ პროგრამამ მარტო ერთგვარი „საგზური ამერიკაში“ კი არ მომამოგვებინა, უპირველესად, პროგრამის საშუალებით ჩემი თავი უფრო მეტად შევიცანი, გავიცანი და მივხვდი, რეალურად რა მინდა ცხოვრებაში. ვფიქრობ, პროგრამა დამეხმარება, გავიგო რეალურად ვინ არის თაკო ბენაშვილი.

-ვინ გეხმარებოდა ამ სირთულეების გადალახვაში?

ამ სირთულეების გადალახვაში მეხმარებოდნენ ჩემი ოჯახის წევრები, სკოლა, სკოლის დირექტორი, ქალბატონი ხათუნა მამდარაშვილი, რომელიც ყოველთვის გვერდში მედგა, დოკუმენტების მომზადების ქაოსურ პროცესში ძალიან დამეხმარა. ასევე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი ინგლისურის მასწავლებელი - გიორგი ბრეგვაძე და მისი წვლილი, რადგან ის მხოლოდ მასწავლებელი კი არა, ჩემი უდიდესი მოტივატორიც იყო. მასთან მუშაობის პერიოდში ძალიან გავიზარდე, პიროვნულ განვითარებაში და მეხმარა. ვფიქრობ, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში.

-როგორი შეგრძნებაა ფინალში ყოფნა?

პასუხის გაგება განსაკუთრებით ემოციური იყო ჩემთვის. სახლში ვიყავი, როდესაც ტელეფონის ზარის ხმა გავიგე. მითხრეს: „გილოცავთ, თქვენ გახდით ფინანსისტი!“ თავიდან ვერ გავანალიზებ, მაგრამ ძალიან მივხვდი, რომ ეს ის ზარი იყო, რომელიც მამცნო, რომ დასახულ მიზანს მივაღწიე. ვფიქრობ, ენითაღუნერელია ეს შეგრძნება. თებერვალში პასუხს არ ველოდი, რადგან აპლიკანტებთან დაკავშირებას პროგრამის წარმომადგენლები გაზაფხულიდან იწყებენ, შესაბამისად ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს ზარი. როდესაც დამირეკეს, მეგონა დოკუმენტებთან დაკავშირებით აპირებდნენ ჩემთან გასაუბრებას, და როცა მითხრეს, რომ მე გავხდი პროგრამის ფინანსისტი, ვერ გეტყვით იმ წამს რა ვიგრძენი, რადგან ამის განაწილებებისთვის დრო დამჭირდა.

რამდენიმე დღე შოკში ვიყავი. მე, როგორც ზემო მარხაანელ ახალგაზრდას, ერთი წელი უნდა გამეტარებინა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მართლა ვერ ვაანალიზებდი რამდენად დიდი რამეა ეს ყველაფერი. შემდეგ როდესაც მივხვდი, რომ ეს ყველაფერი, რეალურად ხდება, ამაღლებელი იყო.

-პასუხისმგებლობა, ალბათ, უფრო მოგემატა, რადგან შენ მხოლოდ საკუთარი თავის კი არა, შენი ოჯახის, სკოლის, მუნიციპალიტეტის, ქვეყნის წარმომადგენელიც ხდები...

რა თქმა უნდა, ამერიკაში წასვლის შემდეგ მიწვეს ჩემი ქვეყანა წარმომადგენელი, ადვოკატირება გავუწიო მას. ვფიქრობ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. საქართველოს ელჩი, მისი სახე ხდები. როგორც დაანახებ, ისეთი წარმოდგენა შეექმნება მათ შენს ქვეყანაზე. მაქსიმალურად ვეცდები, ყველას ვაჩვენო, რომ ევროპაში არის პატარა ქვეყანა საქართველო უდიდესი კულტურით, ტრადიციებითა და ისტორიით.

-რა მოლოდინებთან და პერსპექტივებთან არის დაკავშირებული ერთი სასწავლო წელი ამერიკაში?

როგორც ამ პროგრამის ფინანსისტი, გამარჯვებული, ერთ სრულ აკადემიურ წელს გაატარებ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვისწავლი, ამერიკულ სკოლაში და ვიცხოვრებ ამერიკულ მასპინძელ ოჯახთან ერთად. ვფიქრობ, ეს ერთი წელი ჩემს პიროვნულ, თვალსაზრის კიდევ უფრო გააფართოვებს, რადგან გავეცნობი სხვადასხვა კულტურისა თუ ტრადიციების მქონე ადამიანს. მასპინძელ ოჯახთან ცხოვრებაც ძალიან საინტერესო იქნება, რადგან სხვა კულტურის ადამიანებთან გინეჭს ცხოვრება და, რა თქმა უნდა, გარკვეულ ცხოვრებისეულ უნარებს ჩამოვიყალიბებ მათთან კომუნიკაციითაც. რაც უფრო მეტ ადამიანთან გავქვს შეხება, რაც უფრო მეტი განსხვავებული კულტურისა თუ ტრადიციების მქონე ადამიანს იცნობ, მეტად იზრდება შენი წარმატების პერსპექტივებიც. ვფიქრობ, ეს წარმატებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯებია. ჩემთვის ამერიკა თავისუფლების და მრავალფეროვნების ქვეყანაა. ეს ის პირველი სიტყვებია, რაც ამერიკის შესახებ მასწავლება. ვფიქრობ, ძალიან ბევრ სიახლეს გავიგებ. მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანა უფრო დამეხმარება საკუთარი თავის აღმოჩენასა და წარმოჩენაში. ვფიქრობ, ამერიკაში ძალიან ბევრი თავგადასავალი მელოდება, მაგრამ ბუნებრივია, ბევრი სირთულე, დაბრკოლება, წინააღმდეგობა შეიძლება შემხვდეს. თუმცა, ეს ყველაფერი პირიქით, გამძლიერებს, პიროვნულად გაზრდაში და მეხმარება.

-წარმატებისკენ მიმავალი გზა, ხშირად პატარა-პატარა გამომწვევებთან არის დაკავშირებული. ეს ერთი წელი, შენთვის შანსია თუ გამოწვევა? თუ ორივე ერთად?

ვფიქრობ, ორივე ერთად - როგორც შანსია, ისევე გამოწვევა. წარმატება იწყება სწორედ აქედან, ამ გამოწვევიდან. მიმაჩნია, წარმატების საფუძველს სწორედ ეს შანსი ქმნის. როგორც ცნობილია, ამერიკა თავისუფლების, ლიბერალიზმის ქვეყანაა. მინიტერესებს, როგორ თარგმნიან ისინი ამ ყველაფერს თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში. ფილმები გახდა ჩემი პირველი მამოტივირებელი წყარო, რის გამოც მომიწია ამ ყველაფრის რეალურად ნახვა, როგორ ახდენენ ფილმებში ასახული სამყაროს რეალიზებას ამერიკელები ყოველდღიურობაში. ძალიან მიხარია, რომ მომეცა ამის შანსი. ფლექს პროგრამა არის იმის დასტური, რომ ამერიკა გვიჭერს მხარს და გვეხმარება ახალგაზრდებს, კიდევ უფრო განვითარდეთ და ჩვენი პოტენციალი მაქსიმალურად წარმოვავსოთ.

-აქვს თუ არა თაკო ბენაშვილს წარმატების ფორმულა?

წარმატების ზუსტი ფორმულა ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს, მაგრამ ვისაც ამ პროგრამაში და ზოგადად, წარმატების მიღწევა სურს, ჩემი რჩევა იქნება, საკუთარ თავზე ბევრი იმუშავონ, მაქსიმალურად ეცადონ, რომ თავიანთი პოტენციალი არ დაკარგონ და ხშირად ეცადონ,

„ბენგალელი ვეფხვი“ დღის სინათლეზე

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ კინოში სინარჯის ტრადიცია. მაშინ ეს ერთგვარი რიტუალი იყო-სალამოს, სამსახურის შედეგად, ლაბაზ ტანსაცმელი გამოწყობილი ადამიანები კინოთავის უკუში იპირბაზროდნენ და საანდის დასრულებული ერთმანეთთან საუბრით კლავდნენ დროს.

29 თებერვალს „კავი გალერეაში“ ჩვენი თანამემულის ეკა ფაგენიშვილის ახალი ნიგინის - „ბენგალელი ვეფხვი“ - წარდგენა გაიმართა. ნიგინი ეძღვნება ცნობილ ინდოელ მსახიობს მითუნ ჩაკრაბორტს და მის ძალზე შთაბეჭქდავ ცხოვრების გზას.

რატომ გადმოვიტყვი ეკამ ამ ნიგინის დაწერა?

„ნიგინში აღწერილია ინდური ფილმების ბუმი გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში და მთლიანად საბჭოთა კავშირში და საქვეყნოდ ცნობილი ფილმის - „დისკოს მოცეკვავეს“ გარშემო ატეხილი აუიოტაჟი, ფილმისა, რომელმაც ინდური ფილმების პოპულარობის თვალსაზრისით უკოკა შექმნა. საოცარი რამ ხდებოდა, ხალხი თავისი სკამებით დადიოდა კინოდარბაზებში, რადგან ყველაზე დიდი კინოთავის სკამებიც კი ცოტა იყო ფილმის ნახვის მსურველების ფონზე. ჩვენი გმირი მასწავლებელს მართლაც რომ ალაფროვანებდა საოცარი არტისტიზმით, ცეკვითა და გარეგნობით, სმენის ნამღები იყო ამ ფილმისათვის შექმნილი ბაბი ლაპირის გენიალური მუსიკა და ინდური ფილმების ნაჩვენები მასწავლებლისათვის სრული სიახლე იყო იმხანად ასე პოპულარული დისკოს ჟანრი. ყოველივე ამან განაპირობა ფილმის არნახული პოპულარობა და იგი რეიტინგის მიხედვით ათწლეულის ბლოკბასტერად გამოცხადდა. მითუნ ჩაკრაბორტი, რომელსაც მანამდე მხოლოდ ინდოეთში იცნობდნენ, პლანეტის მასშტაბის მსახიობი გახდა და ჩემი თაობის კერპად იქცა. მეც ძალიან მიყვარდა იგი და ვაგრძობდი მის ფოტოებსა და ინტერვიუსებს, რომელთა მოპოვება მაშინ ასე იოლი როდი იყო. 1987 წელს დედასთან ერთად მოსკოვში ვიყავი. საბჭოთა კავშირში ინდური კულტურის დღეები იყო და ბევრი ინდოელი სტუდენტი სტუმრობდა დედაქალაქს. ერთ დღეს ნითელ მოედანზე გავიარეთ და სასტუმრო „როსიასკენ“ ჩავუყვებო გზას. აუარებელი ხალხი ირედა. აღმოჩნდა, რომ იქ მითუნ ხალხი ჯიშის (მითუნის) სანახავად იყო მისული იქ და კინოვარსკვლავს რამდენიმე წუთის წინ დაეტოვებინა იქაურობა. მე უზომოდ დამყედა გული, რომ მის ნახვას ასე რამდენიმე წუთით ავიცილდე და ეს გულის ტკეკა აღარასოდეს გამინელდა. მოგვიანებით გავიგე, რომ იმ შეხვედრაზე მსახიობს ახლდა ჩვენი ასევე ძალიან ცნობილი რუსისორი და ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი უმუქ მეჰრა და რომ იქ შეკრებილი ხალხის ნაწილი კინოვარსკვლავის სანახავად საბჭოეთის შორი რაიონებიდან საგანგებოდ იყო ჩამოსული. 2013-2014 წლებში მითუნ ჩაკრაბორტი საქართველოს



სტუმრობდა და ფილმიც გადაიღო აქ, რომელშიც მისი უფროსი ვაჟი მაჰაქში (მითუნ) ჩაკრაბორტი ასრულებს მთავარ როლს. მიუხედავად იმისა, რომ კინოვარსკვლავი ჩვენს ქვეყანას სტუმრობდა, როგორც ბიზნესმენი და არა, როგორც მსახიობი, ინდოლოგმა და კინომცოდნემ - დავით ბუფიტაშვილმა დიდი ძალისხმევის ფასად მის ურთულეს გრაფიკში გამოიხატა დრო და განწყობა და სახელდახელო შეხვედრა მოუწყო ქართველ გულშემატიკრებს კინოვარსკვლავთან. მე კი ეს



ამბავიც მოგვიანებით ტელევიზიით გავიგე და კიდევ ერთხელ ძალიან მეტკინა გული. გასულ წელს „რუსთავი 2“-ის ტელეარხზე შემთხვევით გადავიხივე და ქართულად ნათარგმნი „დისკოს მოცეკვავე“ ვნახე. ახალგაზრდობის განწყობები გამიახლდა და მსახიობის შემდგომ ცხოვრებას გადავავლე თვალი. გამოცდა კინოვარსკვლავის ცხოვრების მრავალმხრივობამ, მოღვაწეობის მასშტაბებმა და გადაწყვეტი, მითხრობდა და მეორე მასზე. ამ საქმის თანამდგომად კი ვინ შემთხვევებში ერთგვარ ფორმალად იქცა და რედაქტორი ზოგჯერ ნიგინს არც კი კითხულობს. ბატონმა დავითმა კი ნიგინი ორჯერ ნაიკითხა. პირველი ნაიკითხვის შემდეგ საგულისხმოდ ჩრევა მომცა, რისთვისაც საჯაროდ უფხდი მაძღოვხს მას. ავტორს ხშირად ასეთი რამ ემართება: მასა-

ლის სიმრავლე თუ საკვლევი თემა შორს იტყუებს და ლაბირინთებისკენ ითრევს, უნებურად კი სცდება მთავარ ხაზს და ერთგვარად მოინახეობს სხვა მკითხველისათვის. ახლა ვხედავ, რამდენად სწორი იყო რედაქტორის რჩევა და რამდენი დააკლდებოდა ნიგინს, ის სტატისტიკა და ნიაღვრელები რომ დამეტოვებინა,

ელოდა.
მართალია, ნინა ნიგინისგან განსხვავებული თემატიკა...

„უნდა გითხრა, რომ სულაც არ ავცდე-ნიღვარ ძველ ხაზს. მითუნ ჩაკრაბორტიც „სანუთროს მარგალიტი“, როგორც მას ნიგინი ვუწოდებ და ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება. „სანუთროს მარგალიტებს“ ეროვნება და აღმსარებლობა არ აქვთ, ისინი ზოგადსაკუთრიო ღირებულებების სამსახურით ამ ცნებებზე მალა დგანან. მსახიობზე ბევრი ნიგინა დაწერილი, მაგრამ ქართულ ენაზე ეს მისი ცხოვრების წარმოჩენის პირველი ცდაა და მას ორიგინალურობას სძენს ის გარემოება, რომ ჩვენ ვნერთ, რა ხდებოდა საქართველოში და ვინ იყო ის ჩვენი თანამემამულეებისათვის. ზოგადად მიჩნეულია, რომ მითუნ ჩაკრაბორტი (მითუნდა, როგორც მას სამშობლოში მიმართავენ), ყველაზე პოპულარული საბჭოეთში იყო. საბჭოთა კავშირში რეიტინგის მიხედვით მას მართლაც ვერცერთი ინდოელი მსახიობი ვერ უდგებოდა გვერდით. ითვლება, რომ საბჭოთა ეკრანები ინდური ფილმების ისტორიაში ორმა ფილმმა შეძრა. ეს იყო „ავარა“ (1950-იანი წლები) და „დისკოს მოცეკვავე“ (1980-იანი წლები). შესაბამისად, ძველი თაობის კერპი იყო „ავარა“ რაჯ კაპური და ახალი თაობისა - „დისკოს მოცეკვავე“ მითუნის.

ნიგინს წარდგენას ესწრებოდა ინდოეთის სრულყოფილებანი ელჩი სომხეთსა და საქართველოში ქალბატონი ნილაქში საპა სინჰა და სიტყვითაც წარსდგა შეკრებილი საზოგადოების წინაშე. როგორც ბატონმა დავითმა შეხვედრაზეც აღნიშნა, ქალბატონი ელჩი დაუყოვნებლივ გამოხემაურა ჩვენს ცნობას და გამოთქვა ყოველმხრივი მზადყოფნა თანადგომისთვის. ნიგინს წარდგენის დროც საელჩოსთან შეთანხმებით დადგინდა. მალევე საელოში თავის ვებ-გვერდზე განათავსა ეს ცნობა. ნიგინს წარდგენაზე მობრძანდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი ბატონი ალექსანდრე ნაღბანდოვი და ამავე დეპარტამენტის სამხრეთ-აზიის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების სამმართველოს უფროსი ბატონი დავით პიპინაშვილი.

მადლობა თითოეულ თქვენგანს, ჩემი მეგობრებო, მეზობლებო, კოლეგებო, ოჯახის წევრებო და უბრალოდ, ნაცნობებო, ვინც მობრძანდით იმ შეხვედრაზე, ვინც მილოცავენ და მამხნევენ, ვისაც ვიყავი ჩემი ნაწერების კითხვა და არასოდეს მტოვებთ მარტო! თქვენი გამოხემაურებები სტიმულსა და მომავალი სიახლეების იმედს მაძღვებს!
„ჯერ კიდევ ემოციებით ვარ სავე, ჯერ კიდევ ვფორიაქობ, თუმცა ამ საღამოს განცდილი სიხარული, ალბათ, აღარც გამინელდება“, - ამბობს ნიგინის ავტორი.

ინგა შიოლაშვილი

მარტის დღეებში ხშირად და ხმამაღლა ვსაუბრობთ ქალთა, დედათა, ბავშვთა და გოგონა ბავშვების უფლებებზე. დედათა და ბავშვთა უფლებების რეალიზებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის მიმართულებით. ნებისმიერი ხმამაღლა გაცხადებული სურვილი გამრავლებაზე, მხოლოდ სიტყვებად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ქვეყანაში არ არის უზრუნველყოფილი მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შევშლება.

საქართველოში გარანტირებული ანაზღაურებადი შევშულებით ამ დრომდე მხოლოდ საჯარო სექტორის სარგებლობს, ანუ ამ ტვირთს მთლიანად იღებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი. ანაზღაურებადი კვირების ოდენობით ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მონინავეა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც კი. მაგალითად, გერმანიაში ანაზღაურებადი კვირების ოდენობა 14 კვირაა, მაშინ, როდესაც საქართველოში თითქმის ორჯერ მეტს - 27 კვირას შეადგენს. მიუხედავად ამისა, ე.წ. დეკრეტის მიმართ არსებული არაერთგვაროვანი მიდგომები კერძო და საჯარო სექტორებს შორის, ბევრ ქალს სამსახურო დილემის წინაშე აყენებს, 2-3 თვის ჩილები დატოვონ სხვა მზრუნველებთან ან მიატოვონ სამუშაო ადგილები. ამჟამად მხოლოდ საგამონაკლისისა ის შემთხვევები, როდესაც კერძო კომპანიები 6-თვიან პერიოდს სრულად ანაზღაურებენ. 6-თვიანი ფაზა თავის

დეკრეტი და დედები

მხრივ მიემართება სრულად ძუძუთი კვების მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ, ჩვენს მკითხველს ორი ახალგაზრდა დედა გავაცნოთ, რომელთაგან ერთი საჯარო სექტორში, ხოლო მეორე კერძო სექტორშია დასაქმებული. ამით კიდევ ერთხელ გავუხვამთ ხაზს დეკრეტული შევშულების არაერთგვაროვნებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის ერთი სახელმწიფოს და ერთი კონსტიტუციის ფარგლებში.
სალომე ნატროშვილი, საჯარო მოხელე: „ჩემი შემთხვევა საუკეთესო მაგალითი და გარკვეულწილად პრეცედენტიცაა, რადგან არათუ სრულად ამინაზღაურდა შევშულება, არამედ ორსულობისას დაგინაურდი. ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ კანონდებლობით უზრუნველყოფილი შემთხვევაა, თუმცა რეალურ დროსა და სივრცეში ქალებს არათუ ორსულობის, ჩვეულებრივ პირობებშიც უჭირთ დაწინაურება. ჩემი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ ეს არის საუკეთესო პრაქტიკა, რასაც ჩვენ ხშირად ვეძებთ ხოლმე სხვა, განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა - ერთდროულად სოციალური, ადამიანის უფლებათა და პროფესიული

ზრდის რეალიზების შესაძლებლობა. ვისურვებდი, რომ ყველა ქალს, რომელსაც სურს ან აპირებს დედობას, ყველა სექტორში თანაბრად შეძლებდეს დეკრეტით სარგებლობის შესაძლებლობა და არა მხოლოდ პირველი, არამედ ყოველი მომდევნო ორსულობისას.“

თამუნა ნატროშვილი, კერძო სექტორის წარმომადგენელი: „ნინა სამსახურების HR-ებსაც ვკითხე და ძირითადი მიდგომა ერთნაირი აქვთ კერძო სექტორს, თუმცა, განსხვავდება ანაზღაურება, ნინა კომპანიაში რომ ვიყავი, 6 თვეა ანაზღაურებადი, ასე გეუბნებიან, რეალურად 3 თვისას გირიცხავენ და მეტე 1 წლიანი უხელფასო შეგიძლია მიაბა. მათ საჩუქრის სახითაც შექონდათ პირველ და მეორე ბავშვზე 1000 ლარი. ახლა ვარ ერთ-ერთ მიკროსაფინანსოში, ანაზღაურებად გირიცხავენ 2 თვის ხელფასსა და შეგიძლია მიაბა 1 წლიანი უხელფასო. წლების წინ ერთ-ერთ ბანკში პირველად დეკრეტის დროს გამათავისუფლეს, 3 თვე მომცეს დეკრეტი, 2 თვის ჩამორიცხეს და რომ გავიდი, მითხრეს, შტატიც გაუქმდა და დაბალ პოზიციაზე ხარ გადაყვანილიო.
ასევე ხშირად მხმენია სხვა დედებზეც, „ბავშვი ეყოლა, პატარა ყავს, მაგას ხშირი გაცდენა მოუწევს და ასეთი ნეგატიური მიდგომები“-აცხადებს

ჩვენთან საუბარში თავმუნა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დეკრეტული შევშულების უფლების სუბიექტია ნებისმიერი ის მოხელე, რომელიც ფაქტობრივად უფლის ბავშვს, თუმცა, საკანონმდებლო მონესრიგება ბავშვის მოვლის გამო შევშულების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას საჯარო სამსახურში დასაქმებული მამისთვის ფაქტობრივად გამოორიცხავენ. მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შევშულებით სარგებლობის საკითხს პრობლემურად აქცევს კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც ერთი მშობლის მიერ შევშულებით სარგებლობის შესაძლებლობას მეორე მშობლის მიერ მის გამოუყენებლობას უკავშირებს. აღნიშნული მოცემულობა კი აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ სტიგმას და საჯარო სამსახურში დასაქმებულ მამებს ხელს უშლის ბავშვის მოვლის გამო შევშულებით სარგებლობაში. დღეს ჩვენს რეალობაში უამრავი მამაა, რომელსაც სურს ისარგებლოს ბავშვის მოვლის შევშულებით. ე.წ.დეკრეტით ბარიერების გარეშე.
ვისურვებდი, რომ ახლა ისამებარიუს ჩვენს ქვეყანაში დამოქალაქი დამოქალაქი ადამიანი დრო, დემოკრატიული პრობლემებიც მოგვარავს უნდა და ამავე ერთად და პარამონულად შექალაქოდეტი შვილავის აღზრდა.
მომავლად ელზა ხარაშვილი

„უნდა ვითხოვოთ ევროკავშირის ელჩს, აბვიხსნას, რა მიდგომებია ეს?“

„მგონია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა დაიბაროს გერმანიის ელჩი და მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით“, - ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის ბუნდესტაგში გამოჩენას.

მისივე თქმით, ასევე უნდა სთხოვონ ევროკავშირის ელჩს, რომ ახსნას, „რა თემასთან გვაქვს საქმე და რა მიდგომებია ეს“.

„გაუგებარი იყო, როდესაც ბუნდესტაგში, ადეიშვილს ხვდებიან, როგორც სასამართლოს და იურიდიული თემატიკის უზაღლო მცოდნეს. ამ დროს არის დამნაშავე, კრიმინალი, რომელსაც ბრალი წარედგინა არაერთ თემაზე. მსჯავრდებულთა რობაქიძის საქმეზე, მათ შორის „იმედის“ წართმევაზე, ჟურნალისტზე თავდასხმაზე, ბიზნესის რეკეტზე და ასეთ ადამიანს ხვდებიან დიდი ზარზემით უკრაინის წარმომადგენლის რანგში - ეს მიუღებელია.“

ჩვენ ევროპა გვინდა იმიტომ, რომ გვგონია იქ არის სამართლიანობა, მეტიც მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტიები და ეს როგორ ავუხსნათ ჩვენს მოქალაქეებს? - სააკაშვილის რეჟიმის ერთ-

ერთი მთავარი შემოქმედი იყო ბატონი ადეიშვილი, რომელიც ძებნაშია.

მეორე, გარდა ბუნდესტაგისა, ის შეხვდა ბატონ იან კომპანსს, რომელიც არის სამეზობლო გაფართოების პოლიტიკის ერთ-ერთი კომისიის დირექტორი. რა ღირებულებებზე საუბრობთ? კრიმინალი, რომელმაც ათასობით ადამიანი დაატერორა ციხის იმ წამებების ერთ-ერთი ავტორი და შემოქმედი, იდეოლოგი იყო ამ რეჟიმის, თქვენ ასე ზარზემით და პატივით ხვდებით, რანაირად ავუხსნათ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ეს სწორია?

ამიტომ, მე მგონია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა დაიბაროს გერმანიის ელჩი და მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ჩვენ უნდა ვთხოვოთ ევროკავშირის ელჩს, აბვიხსნას, რა თემასთან გვაქვს საქმე, რა მიდგომებია ეს? კრიმინალი ადეიშვილი ემალევა გამოძიებას და ასეთ ადამიანს რომ ზარზემით იღებთ, რანაირად?

ჩვენ გვინდა ის ევროპა, რომელიც დგას სამართლიანობაზე, ობიექტურობაზე, კეთილდღეობაზე, ადამიანის უფლებებზე და ნამდვილად არ გვინდა ის ევროპული ჩინოვნიკები, რომლებიც ასე ზარზემით ხვდებიან იმ კრიმინალური რეჟიმის შემოქმედებს, რომელიც აქ სუფევდა 9 წლის განმავლობაში“.

„მორჩა, იაფი ტურიზმი აღარ არსებობს“ - გაიზრდა თუ არა ჩინეთში ნავსკლის მსურველთა რაოდენობა

„ჩინეთში ტურისტულად პრაქტიკულად, არავინ დადის საქართველოდან. ერთ-ორი გამონაკლისი გარდა“, - ამის შესახებ ტურისტული კომპანიის „კლარკ & რობინსონს“ აღმასრულებელმა დირექტორმა მამუკა კელაურაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ჩინეთთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებით, მნიშვნელოვანი არაფერი იცვლება, რადგან ვიზის მიღებაც დიდი სირთულეს არ უკავშირდება, თუმცა, თუ ავიაიმპორტულები დაემატება, ამან შესაძლოა, ტურისტულ სააგენტოებს გარკვეული ზიანი მისცეს. ამასთან, მამუკა კელაურაძე აღნიშნავს, რომ იაფი ტურიზმის აღარ არსებობს, შესაბამისად, ჩინეთში ვიზიტის ბიუჯეტური ვერ იქნება.

„ჩინეთში ტურისტულად პრაქტიკულად არავინ დადის საქართველოდან. ერთ-ორი გამონაკლისი გარდა. ახლა შესაძლოა, ამან გარკვეული ზიანი მისცეს ტურისტულ სააგენტოებს და თუ

ჩინეთს მიმართულებით ბევრი ფრენა იქნება, მაგალითად, პეკინზე პირდაპირი რეისი, აზრი ჰქონდეს, რომ ნაიყვანო ტურისტები. იქ მარტო კედელი ხომ არ არის, ბუნებაა საოცარი და უამრავი ტექნოლოგიური მიღწევები აქვთ, ბევრი რამეა სანახაო. მაგრამ ძალიან შორს არის, ბილეთი მაინც ძვირი იქნება და ადგილზეც, ვერ ვიტყვი, რომ იაფია ყველაფერი. მორჩა, იაფი ტურიზმი აღარ არსებობს, დამთავრდა, სამსუხაროდ. მანამდეც, ვიზის მიღება არანაირ სირთულესთან არ იყო დაკავშირებული. ანუ, ფაქტობრივად არაფერი იცვლება ამით“, - ამბობს მამუკა კელაურაძე.

ცნობისთვის, სულ ცოტა ხნის წინ, როგორც პრემიერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმს დაანუსებს. მანამდე, გასული წლის სექტემბერში, საქართველომ დაანუსა ჩინეთის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა.

„როცა უკრაინაში რუსეთის ომი მძვინვარებს, თავისუფლება რისკის ქვეშ დგება მთელს ევროპაში“

„ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე ომის ვენჯი, ის ახლოს იყო ხაზთან, რომლის გადაკვეთაც არ შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ხაზის მეორე მხარეს საქართველოს ტერიტორია იყო. ეს ცოტა განსხვავებულია ჩემს კუნძულზე არსებული ვითარებისგან, რომელიც ატლანტიკის ოკეანეშია - ჩვენ არ გვყავს ჯარი, არ გვყავს უშუალო მეზობელი, რომელიც გვემუქრება ძალადობითა და ომით. არის ეს გამოცდილება, რომელსაც შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო? არ იყოლიოთ მეზობლები, მაშინ თავისუფლები იქნებით! არის ეს კარგი რჩევა, ისლანდიისგან? საკამათია!“ - ამის შესახებ ისლანდიის პრეზიდენტმა გუდნი იოჰანესონმა თბილისში მიმდინარე რონდელის უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა.

ისლანდიის პრეზიდენტმა ევროპაში მიმდინარე ომზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისლანდია სხვა ევროპული ქვეყნებისგან მოშორებითაა, ისტორიული გამოცდილება კარნახობს, რომ ევროპაში მიმდინარე ომი მასზეც ახდენს გავლენას და კუნძულის უსაფრთხოება და დაცულობა, სხვა ქვეყნების უსაფრთხოებასა და დაცულობაზე დამოკიდებულია.

„ისლანდია პატარა და ახალგაზრდაა. ადამიანები კი იქ 1000 წელზე ოდნავ მეტხანს ცხოვრობენ, ამიტომ ჩვენი ისტორია არც კი შეედრება მდიდარ ტრადიციასა და მეშვიდეობას საქართველოში. მოსახლეობა არც თუ ისე ბევრია - მე, ჩემი დელეგაცია და 400 ათასამდე ადამიანი.“

ჩვენი ისტორია ამ კუნძულზე, სხვებისგან მოშორებით გვეუბნება, რომ ჩვენი უსაფრთხოება და დაცულობა სხვების უსაფრთხოებასა და დაცულობაზე დამოკიდებულია. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მაშინ, როცა უკრაინაში რუსეთის ომი მძვინვარებს, თავისუფლება რისკის ქვეშ დგება მთელს ევროპაში. როდესაც ომი ევროპაში, ის გავლენას ახდენს ჩვენზეც, მიუხედავად იმისა,

რომ ჩვენ შორს ვართ. ჩვენ არ ვცხოვრობთ იქ იზოლაციაში.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ არ გვყავს ჯარი, არ ყოფილა ომი ისლანდიის მიწაზე მეცამეტე საუკუნეში სამოქალაქო ომის შემდეგ და მაშინაც ქვეშით ვიბრძოდით, ქვეშ ვესროდით ერთმანეთს. ჩვენ ხშირად გვესმის ავტოკრატებისგან, რომ ქვეყნის ღირსება დაცული უნდა იქნას და მხოლოდ ეს არის მნიშვნელოვანი, მაგრამ რომ დაფიქრდეთ ღირსებასა და პატივს არაფერი აქვთ საერთო ძალასა და ძალადობასთან. მოდით ვისაუბროთ ღირსებასა და პატივზე, როდესაც აშენებთ საავადმყოფოებსა და სკოლებს, ვისაუბროთ ღირსებასა და პატივზე, როდესაც ხალხს საშუალებას აძლევთ ჰქონდეთ უკეთესი და ბედნიერი ცხოვრება. მოდით ვისაუბროთ ღირსებასა და პატივზე, როდესაც ნაკლები კორუფცია და მეტი ადამიანის უფლებაა, როდესაც შენი განზრახვა მშვიდობა და კეთილდღეობა და არა ომი და ბრძოლა. ეს არის ნამდვილი პატივი და ღირსება და შეიძლება ეს არის სივრცე ჩვენთვის, პატარა სახელმწიფოებისთვის. შეიძლება ჩვენ, პატარა სახელმწიფოებიც არ ვართ უკეთესები და უბრალოდ ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს სირთულეების შესაქმნელად, მაგრამ ამისთვისაც შეგვიძლია მადლობლები ვიყოთ. მახსენდება ერთი ფრაზა, რომელიც ბალტიელ ლიდერს ეკუთვნის, მას ჰკითხეს, რა არის თქვენი მომავალი მისწრაფება თქვენი ქვეყნისთვისო, - ეს მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენიდან ცოტა ხანში, 1990-იან წლებში, და მან უპასუხა, მინდა რომ ვიყოთ კიდევ ერთი მოსახყენი ნორდიკული ქვეყანა, სადაც არაფერი ხდება. ეს რეალურად არის ის, რისკენაც შეიძლება სწრაფვა - მშვიდობა და კეთილდღეობა, ამაღლებული ემოციების მიღება კი საქართველოს მსგავს მშვენიერ ქვეყანაში ვიზიტით შეიძლება. რატომაც არა?! - განაცხადა ისლანდიის პრეზიდენტმა.

სასკოლო არდადეგები დაიწყო

საქართველოს საჯარო სკოლებში რვა მარტიდან საგანგებო არდადეგები დაიწყო. განათლების მინისტრის შესაბამის ბრძანების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები 8 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით

დაისვენებენ. სასწავლო პროცესი 15 მარტს განახლდება. რაც შეეხება კერძო სკოლებს, ისინი არდადეგების საკითხს და ხანგრძლივობას თავად განსაზღვრავენ.

OZAANSI WELIWADSI RVAJER DREOBEN

1876 W

QIZIYEBS, TUNDAC ARC SAKLAVI HYAVDET, FULS XOM VIN MSCEMT, MINC ARNISNAVEN DRESASWAULEBS. ZOG SOFELSI SAM-OTXI TAZARIA DA INDENJER ARNISNAVEN DREOBAS. MOIWEVEN SXVA SOFLEBIDAM STUMREBS DA AMS EZAXIAN RAMS TEVAS. VISAC SAKLAVI-HYAVS, TVITON DAIYNEBS DREOBAS, VISAC ARADA SIRMAREL SOMKBTAN MDIAN DA ERLIJE BIAN DREOBISTVIS FULI MSESXEO, ISIMI KI DIDI SARGEBLIT AZLEVEN VALS. SOFEL BODBISXEVSI MZINEBIS MRVTIS MEOBLIS EKKLESIIS DREOBAS 15 AGVISTOS

DRESASWAULOBEN, MREVLII ARIS 120 KOM.LI. SANSAN AM DREOBAZE TQVES, WVRILAD IANGA RISES AM DREOBIS XARJI DA XUTASI TUMANI SEDGAO. ERT DREOBASI AMT ROM ANDENI DAEXARJAT, MS SOFEL OZAANSI MCHOVREBT RAMDENIRA DAEXARJEBAT, OZAANSI 107 KOM.LIA. MAGRAM RVA EKKLESIIS DREOBAS ARNISNAVEN. IYO RCEVA, ROM AMDEKVETAT DREOBEBI, MAGRAM VVELA SOFELSI AMOBEN, ROGORC DEDIS DA MMS SAFLAVIS DAVIWEBA AR SEGVIZLIAN, ISI AM CVEULEBIS DAVIWEBA AR IQNEBAO. QIZIYELI FASVI BERTYVAZE (STILI DACULIA)

MRZAANSI SKOLASI

ROCA SKOLEBS VSINJAVDIT, SOFEL MR NAT. MZNEVARIA, TU SASARGEBLO SKOLIS ZANIS SKOLASI SEVXVDIT GAMOMIEBELS, CA GANWOBILOBISTVIS SASOFLO KANCELARIEBIS, MOMXDAR TAVIS CAFREBIT. SKOLIS OTAXSI GAMANZIEBLEBIS KAMANDEBIS SKOLEBSI CAYENE AQ-IA KUTXEBSI EYARA N. BARATASVILIS BA? AMASI SASARGEBLO ARA CANS RA IQNEBA AXLAD GAMOCEMULI TXZULEBEBI. STOLZED MSWAVLEBELI DA MSI XEL.MRVANELI SASIA KANCELARIIS DAVTREBI EYARA DA MTRAXE MOVNOT STVLIDES AMVAR YOFAS?

(STILI DACULIA)
GAZETI „დროება“ 1876 E

მონატრება

ზაზა დოლენჯაშვილი

უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე ჩვენო ზაზა!... წელს პირველად ვხვდებით ამ თარიღს შენს გარეშე. ძნელია ამ აზრთან შეგუება, რომ ჩვენთან აღარ ხარ. გვიძიძის ეს დღე და აუტანელია უშენობით გამოწვეული სევდა და მონატრება.

11 მარტს 46 წლის გახდებოდი, მაგრამ სამუდამო განსასვენებელში გადაინაცვლე და დიდი სიცარიელე დაგვიტოვე. ისლა დაგვრჩენია მოგონებებით ვიცოცხლოთ და შენი სულის მოსახსენიებლად ვილოცოთ. მოვიდეთ შენს საფლავზე, პანაშვიდი გადაგიხადოთ და უფალს შევთხოვოთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ალალი და უბოროტო სული. სანთელ-საკმეველმა გაგინათოს ზეციურ სამყაროში გზა და მშვიდად განისვენე. იქიდან ილოცე შენი გულმოკლული მომბლებსთვის, მეუღლისა და შვილებისთვის.

**შენი ოჯახი,
დედა მანანა მარტყოფლიშვილი და ძმა.**

«გოგო დიდი მიზნებით, პატარა სოფლიდან»

/დასაწყისი გვ.4/

რომ შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ. საკუთარ თავზე მუშაობა, შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, დისციპლინა ისეთ კომბინაციას ქმნის, რომ მომავალში, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად მოიტანს წარმატებულ შედეგს. ამავდროულად, მოთმინების უნარიც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარმატება მალე არ მოდის, დრო სჭირდება ყველაფერს. ალბათ, 8-9 თვე მინევედა ლოდინი და ეს პროცესი ლოდინთან და მოთმინებასთანაც იყო დაკავშირებული. ვფიქრობ, ლიდერი ვარ და ამერიკაში ამ ლიდერულ უნარ-ჩვევებს კიდევ უფრო განვავითარებ. მიმაჩნია, რომ იქიდან „დახუნძულული“ დავბრუნდები.

რა სამომავლო გეგმებით დაუბრუნდები შენს ქვეყანას?

ზუსტი გეგმა არ მაქვს, თუმცა, ვაპირებ, ჩემი ცოდნა საქართველოს დაუბრუნო. ყოველთვის ამისთვის ვიბრძვი. ეს არის ჩემი ცხოვრების ერთგვარი დევიზი - „დაუბრუნე შენი ცოდნა საქართველოს“. გარდა ამისა, მინდა ჩემი გეგმები ამ პროგრამის მიზნებს დაუკავშირო და დიდი სურვილი მაქვს, დიპლომატი გავხდე. მნიშვნელოვანი ასპექტია, ის რომ მინდა ჩემს ქვეყანას ადვოკატირება გავუწიო, ჩემი ქვეყანა წარმოვარჩინო. დაბრუნების შემდეგ, იმაზე ვიზრუნებ, რომ ეს პროგრამა კიდევ უფრო პოპულარული და ცნობადი გახდეს, რადგან მინდა, ყველა ახალგაზრდას დაავანახო, თუ რამდენი შესაძლებლობა გარშემო. რაც მეტი ახალგაზრდა იქნება ინფორმირებული, ვფიქრობ, მით მეტია საქართველოს წარმატებული მომავლის შანსი. ამის შემდეგ მსურს საქართველო წარმოვარჩინო არამხოლოდ ევროპაში, აზიაში, არამედ თავისი უდიდესი კულტურით, ისტორიით, ტრადიციებით მთელს მსოფლიოს გავაცნო. ვფიქრობ, ეს აუცილებლად გამოიწვევს შედეგს, რომ ადვოკატი გავხდე ჩემი ქვეყნის. მინდა, რომ ჩემი ყველა საქმიანობა, რასაც გავაკეთებ, დაუკავშირო ჩემი ქვეყნის წარმოჩენას.

როგორ შეაფასებდი დღევანდელ

თაობას? ახალგაზრდებს? რას ურჩევდი მათ? რა არის მათთვის შენი გზავნილი?

ვფიქრობ, ჩვენ ვართ ჯანსაღი თაობა, ჯანსაღი აზროვნებით. თუმცა, დღევანდელ თაობას ნამდვილად სჭირდება გზავნილი და რჩევა. მათ ასეთ რამეს ვეცდები: აუცილებლად, ყოველთვის ეცადეთ, რომ საკუთარ თავზე იმუშავოთ. ასეთი პროგრამები, შესაძლებლობები, რომელიც ძალიან ბევრია ჩვენს გარშემო, მაქსიმალურად გამოიყენეთ და გაიფართოვეთ ჰორიზონტი. შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. უბრალოდ, ეცადეთ, რომ ყველა სივრცეში წარმოადგინოთ და დაანახოთ ყველას თქვენი შესაძლებლობები. მონაწილეობის მიღებამდე აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა გახდეთ უფრო კომუნიკაბელური, გახსნილები და ქარიზმატული. აუცილებლად მიიღეთ მონაწილეობა როგორც სკოლის, ასევე არაფორმალური განათლების მხრივ დაგეგმილ პროექტებში. ჩაერთეთ მოხალისეობრივ საქმიანობაში. იმუშავეთ არა მარტო საკუთარი თავის, არამედ თქვენ ირგვლივ არსებული გარემოს განვითარებისთვისაც. მე პირადად, ორიენტირებული ვიყავი პროცესზე და არა შედეგზე. უნდა იცოდეთ, თუ რისთვის ან ვისთვის აკეთებთ ამას. არ არის აუცილებელი ზუსტად გქონდეთ განერილი ის გეგმები/საქმეები, რომლებსაც გამარჯვების შემდეგ გააკეთებთ, მაგრამ უნდა დაფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ აკეთებთ ამას. შეგიძლიათ კითხვა დაუსვათ საკუთარ თავს: მონაწილეობის გადანყვეტილება რატომ მივიღე? ამას საკუთარი თავისთვის ვაკეთებ, თუ იმის გამო, რომ მშობელმა ან მასწავლებელმა მთხოვა? ყოველი გადანყვეტილება უნდა იყოს მიღებული მხოლოდ თქვენ მიერ, რათა მაქსიმალურად შეძლოთ საკუთარი თავის წარმოჩენა. ეს არის თაკო ბენაშვილის ფორმულაც და გზავნილიც. გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს თაკო ბენაშვილს მომავალ საქმიანობაში. გვჯერა, რომ ასეთი ბავშვები და ახალგაზრდები, ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის სანინდარია და



მათი ასეთი შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და ქვეყნის სიყვარული, კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს სამშობლოს.
თქვენ კი შეგახსენებთ, რომ უკვე ოცდაათ ნაწილ მათია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა „FLEX“ შესაძლებლობას აქლავს ქართველ უფროსგაზრდას

ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აწინასწავს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული სააგენტო.
ესაუბრა
შუშუნა ყანაშვილი

ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა



„საქსტატის“ ინფორმაციით, 2023 წელს ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა 6.2 პროცენტით გაიზარდა.
2023 წელს საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 278.8 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 599.4 ათასი ერთეული შეადგინა.
„2023 წელს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 693.2 ათასით განისაზღვრა, რაც 8.1 პროცენტით მეტია 2022 წლის

ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2023 წელს ვიზიტორების 36.6 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 54.5 პროცენტს შეადგენდა. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 34.6 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 16.9 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 9.6 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი. 2023 წელს ვიზიტების უმრავლესობა (47.2 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით. საანგარიშო პერიოდში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 368.2 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 342.6 ათასი ვიზიტი თვეში). 2023 წელს განხორციელებული ვიზიტებისას განუვლი საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 278.0 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 12.0 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე განუვლი საშუალო ხარჯი შემცირებულია 4.7 პროცენტით და 173.8 ლარს უტოლდება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

შეკანსიანა!

გაზეთი შირაქი ახსნადვს შეკანსიან სოსილური მედიის გარემოს სანაწილის პოზიციას.

ქირითადი ვაჭარბუნებები:

- საიტისა და სოციალური მედიის (Facebook, LinkedIn, Instagram, Tik-Tok- ის მართვა); კონტენტის შერჩევა და განთავსება;
- ვიდეო-სიუჟეტების მომზადება, მონტაჟი;
- კომპანიის შიგნით კრეატიული პროცესების მართვა და კონტენტის შექმნა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველია უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის ცოდნა;

პირიწინა მახასიათებლები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა
- გუნდური მუშაობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;

რაიონში გამოგზავნით მიღება gazetishiraki@gmail.com ან დაგვიკავშირდით ნომერზე 591 092 477

ამინდი		დედოფლისწყობის რაიონი		სურამის რაიონი		სამცხე-ჯავახეთის რაიონი		მთიანეთის რაიონი		მცხეთა-მთიანეთის რაიონი	
ორშაბათი 11.03	სამშაბათი 12.03	ოთხშაბათი 13.03	ხუთშაბათი 14.03	პარასკევი 15.03	შაბათი 16.03	კვირა 17.03	ორშაბათი 18.03	სამშაბათი 19.03	ოთხშაბათი 20.03	ხუთშაბათი 21.03	პარასკევი 22.03
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
9°	-1°	11°	1°	12°	3°	15°	4°	13°	4°	14°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია პარაკოვლიანი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა);
ნათია ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბუღალტერი);
ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაშვილი (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი